(გვ. 147). ეს სიტყვები გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს დაიწერა, თუმცა იმდროისათვის ეთნოლოგიური თეორიების სიმწირე არ იგრძნობოდა. ავტორს ამ სიტყვებით სხვა რამის თქმა სურს: „როდესაც გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება სიფრთხილის აუცილებლობის გამო, ვითვალისწინებდით ვ. ბარდაველიძე-ლომიას საინტერესო ნაშრომს, რომლიდანაც ხშირად მოგვყავდა ციტატები ამ თავში. ეს მეტად ღირებული ნაშრომი ძალიან დამეხმარა საკითხის განხილვისას, რის გამოც ავტორის მიმართ გულითადად მადლიერი ვარ. თუმც ნება მომეცით, კრიტიკის გარეშე აღვნიშნო, რომ, როგორი გამოსადეგი და საინტერესოც უნდა იყოს ეს ნაშრომი, ჩემი აზრით, პირველი ნაწილი, სადაც ავტორი აღწერს ტრადიციებს დეტალურად, უფრო მისაღებია, ვიდრე ის შეხედულებები, რომელთაც იგი მეორე ნაწილში გვთავაზობს, სადაც ავტორი ცდილობს, ახსნას განხილული ადათების წარმოშობა და მნიშვნელობა“ (გვ. 147).

შესაშურია ამ სიტყვების ავტორის ტაქტი და კეთილგანწყობილება, რომლის ფონზე იგი მიუთითებს კოლეგას მისი ნაშრომის არცთუ უმნიშვნელო ხარვეზზე. მაგრამ, დავსძენ, რომ ეს იყო არა ცალკეულ მეცნიერთა, არამედ კვლევის მეთოდად აღებული უალტერნატივო ისტორიზმისკენ ორიენტირებული მთელი საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერების ნაკლი.

ზურაბ კიკნაძე

ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდიკაში. მთავარი რედაქტორი და შემდგენელი დავით შუღლიაშვილი, რედაქტორი მაგდა სოლოღაშვილი. „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. 2015. 629 გვ.

გალობა ქართველი ერის სულიერი მშვენიერების ნათელი გამოხატულებაა. საგალობელში ღრმა შინაარსით სავსე, მხატვრულად დახვეწილ პოეტურ ფორმებთან ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის მხატვრულად ასეთივე სრულყოფილი მუსიკალური ჰანგი. განსაკუთრებული სულიერებით განმსჭვალული და აღვსილი ქართული გალობა, ქართველთა ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი გახდა თავიდანვე და განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას იმსახურებდა. ქართულ გალობას მრავალი დაბრკოლება შეხვდა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის გზაზე, და ამ გზაზე ქართველმა საეკლესიო თუ საზოგადო მოღვაწეებმა, უბრალო ადამიანებმა, რომლებიც აცნობიერებდნენ საგალობლების მნიშვნელობას ერის სულიერ ცხოვრებაში, განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გაიხადეს იგი.

ქართული გალობისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრებაზე ზრუნვა დღესაც გრძელდება. მიმდინარეობს მისი ისტორიული, თუ თეორიული ასპექტების შესწავლა, გალობის ნიმუშების პრაქტიკული სწავლება და ღვთისმსახურებაში მისი კუთვნილი ადგილის დაბრუნება. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგალობელთა აუდიო და სანოტო გამოცემები, გამოკვლევები ქართული საეკლესიო გალობის ისტორიის, თეორიის, შემსრულებლობის საკითხების შესახებ. სწორედ ასეთ ნაშრომთა რიგშია ახალი გამოცემა „ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების პერიოდიკაში“.[1] იგი გალობის შესახებ ქართულ პერიოდიკაში გაბნეული მასალის პირველი მოცულობითი (600-მდე ერთეული) გამოცემაა, რომელიც აცოცხლებს ქართული გალობის სამოცწლიან ისტორიას, 1861 წლიდან – გასაბჭოებამდელი პერიოდის საქართველოში და თვალნათლივ წარმოაჩენს ქართული გალობის მოამაგეთა და გულშემატკივართა თავდადებას, წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე, რომლითაც ქართული საგალობლის მუსიკალურმა ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწია.

ავტორთა მიდგომა, შემოფარგლულიყვნენ სამოცწლიანი ისტორიული მონაკვეთით (1861-1921) განაპირობა, ერთი მხრივ, იმ ისტორიულმა რეალობამ, რომელიც საქართველოში დადგა XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის, მეორე მხრივ კი, იმ მოვლენებმა, რომლებიც საქართველოს გასაბჭოებას მოჰყვა.

ცნობილია რომ, ეგზარქოსობის პერიოდში, ეროვნული თვითმყოფადობის წინააღმდეგ მებრძოლი რუსიფიკატორული პოლიტიკის სამიზნედ იქცა ქართული გალობაც, როგორც ერის სულიერი საუნჯე. დაიწყო მიზანმიმართული ბრძოლა მისი შევიწროებისათვის, რის პასუხადაც, მკვეთრად დაისვა ქართულ საგალობლებზე განსაკუთრებული ზრუნვისა და მათი გადარჩენის საკითხი სწორედ ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელთა მხრიდან. ასეთი ზრუნვის ობიექტად ქართული გალობა XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან იქცა, რამაც ბუნებრივი ასახვა ჰპოვა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი, პრესის ფურცლებზე გალობის შესახებ სტატიები თითქმის აღარ ჩანს, რადგან ბოლშევიკური ცენზურის პირობებში ეკლესია, ღვთისმსახურნი, მგალობლები და გალობა რეპრესიის ობიექტებად იქცნენ.

1 ნაშრომი გამოცემულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ. მომზადებულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილებაში.

წინამდებარე ნაშრომი თავს უყრის ქართულ პერიოდულ გამოცემებში მოძიებულ სტატიებს, გამოხმაურებებს, განცხადებებსა თუ სხვადასხვა ამონარიდებს ქართული გალობის შესახებ და მკითხველს გალობის ისტორიის გამთლიანებულ სურათს წარმოუდგენს. წიგნში მეტად ძვირფასი და საინტერესო მასალაა თავმოყრილი. მისი გაცნობისას ცხადი ხდება, რაოდენ ფართო იყო ქართული საეკლესიო გალობის ბედით დაინტერესებულ პირთა წრე. მათ შორის, თავისი საქმიანობით უშუალოდ გალობასთან დაკავშირებული, საერო თუ სასულიერო პირების გარდა, იყვნენ იმ პერიოდის დიდი ქართველი მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები. საკმარისია აღინიშნოს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ხახანაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, რაფიელ ერისთავის, მოსე ჯანაშვილის აქტიური ჩართულობა გალობის გადარჩენის საქმეში. საოცარი ეროვნული პათოსით გამოირჩევა სასულიერო თუ საერო პირების, მოყვარულ-ქომაგების, მგალობლების გამოხმაურებები იმდროინდელ პრესაში.

ნაშრომი შესაძლებლობას გვიქმნის შევაფასოთ, თუ რომელი პერიოდული გამოცემები უთმობდნენ საკუთარ ფურცლებს ქართული გალობის შესახებ ნარკვევებს, პოლემიკას, მსჯელობასა თუ ინფორმაციის გავრცელებას. როგორც ირკვევა, ქართულ გალობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და სიახლეების გაშუქებით განსაკუთრებულად დაინტერესებული იყო და აქტიურობით გამოირჩეოდნენ გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „ცნობის ფურცელი“, ჟურნალები – „კვალი“, „მწყემსი“. არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ჟურნალ-გაზეთებში („განათლება“, „თემი“, „იმედი“, „ისარი“, „კლდე“, „მოამბე“, „მოგზაური“, „სახალხო საქმე“, „სახალხო ფურცელი“, „ჯვარი ვაზისა“ და სხვ.) შემდგენელთა მიერ მოკვლეული პუბლიკაციები და გამოხმაურებები ქართული გალობის შესახებ. ნაშრომის გაცნობისას მკითხველისათვის ცხადი ხდება, საკითხთა ის წრე, რომელიც აღელვებდა საზოგადოებას, თუ რა თემატიკა წარმოადგენდა მათი ინტერესისა და ზრუნვის საგანს, რომელი პრობლემების გაშუქება ხდებოდა ყველაზე ინტენსიურად. ეს ყველაფერი დიდ ინტერესს იწვევს მკითხველში იმ მიზეზის გამოც, რომ საუკუნისწინა ისტორიული სინამდვილის ამსახველი მასალა დღესაც აქტუალურია. ნაშრომში გაცოცხლებული ისტორია გარკვეულ საკითხებში ეხმიანება ქართული გალობის ახლო წარსულსა თუ დღევანდელ მდგომარეობას. თავმოყრილი მასალა მკითხველს შესაძლებლობას უქმნის გაეცნოს, ზოგჯერ გაიხსენოს, ის ფაქტები და იმ ადამიანთა დამსახურება, რომლებმაც შექმნეს ეს ისტორია, მრავალი რამ ისწავლოს და შეიცნოს, მაგალი-

თი აიღოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და სულიერი საუნჯის გადარჩენით მოტივირებული წინაპრებისგან.

გამოცემაში გამოქვეყნებული წერილები მოგვითხრობენ ქართული გალობის ისტორიულ წარსულზე და მის სიდიადეზე, გალობის შესრულების თავისებურებებზე, სამგალობლო სკოლათა ტრადიციებზე. როგორც ირკვევა, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე განსაკუთრებული პოლემიკა გამოუწვევია ნოტებზე გადასატანი საგალობლების კილოს არჩევამ. საზოგადოების ერთი ნაწილი უპირატესობას ქართლ-კახურს (ე. წ. „კარბელაშვილის კილო“) ანიჭებდა, მეორე კი წინაპრების გალობის შემომნახველად მხოლოდ გურულ-იმერულ, დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლებში შემონახულ კილოს მიიჩნევდა. ყველა თავისებურად ამართლებდა საკუთარ პოზიციას და მსჯელობას ახორციელებდა ქართული გალობის დამახასიათებელი თვისების მოხმობით. პრესის ფურცლებიდან ნათლად იგრძნობა ის სიხარული, რაც ქართული გალობის გულშემატკივარებს ღვთისმსახურების აღსრულებისას ქართული გალობის აღვლენა ჰგვრიდა. ბუნებრივია, ყოველი ასეთი ფაქტი დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენად ითვლებოდა და განსაკუთრებულ გამოხმაურებას იმსახურებდა იმ არსებულ რეალობაში, როცა „თხის კიკინს“ შედარებული ქართული გალობა, რუსული ტრადიციის მიზანმიმართული დანერგვითა და ჩანაცვლების მცდელობით გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა.

ნაშრომი წარმოადგენს აკადემიურ გამოცემას. მის შემეცნებით ფუნქციას ზრდის წიგნზე დართული პერიოდული გამოცემების, პირთა და ტოპონიმთა საძიებელი, რაც მოქნილს ხდის და აადვილებს საჭირო ინფორმაციასთან წვდომას. წიგნის კიდევ ერთ უპირატესობად უნდა აღინიშნოს პერიოდულ გამოცემებში მიკვლეული ნაკლებად ცნობილი ფსევდონიმების იდენტიფიცირება. მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში მრავლადაა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ფსევდონიმით გამოქვეყნების ფაქტები. მასალაზე მუშაობის დროს სამუშაო ჯგუფმა გახსნა აქამდე უცნობი ზოგიერთი პირის ვინაობა, რომელთა ფსევდონიმებით არაერთი პუბლიკაციაა შესული წინამდებარე გამოცემაში.

„ქართული გალობის ქრონიკა“ გალობის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის ისეთივე „ძვირფას საჩუქარს“ წარმოადგენს, როგორიცაა გამოცემის შემდგენელისა და მთავარი რედაქტორის, მუსიკოლოგ დავით შუღლიაშვილის ავტორობითა თუ რედაქტორობით გამოცემული ქართული გალობის აუდიო და სანოტო კრებულები, „ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი“ (2013) და მონოგრაფია – „ქართული სამგალობლო სკოლები და რვა ხმის სისტემა.“ (2014). ეს ახალი გამოცემა დიდ დახმარებას

გაუწევს ქართული გალობის მკვლევართ, შემსრულებლებს, თუ გალობის ისტორიით დაინტერესებულ პირებს. ავტორთა ჯგუფს მინდა მივულოცო მრავალწლიანი და შრომატევადი სამუშაოს წარმატებით დასრულება, ხოლო მკითხველს – კიდევ ერთ, უაღრესად აქტუალურ და საინტერესო გამოცემასთან ზიარების შესაძლებლობა.

თამარ ჩხეიძე

გურამ ქერაშვილი. ხევი და მოხევეები. თბილისი. 2013. 335 გვ.

რელიგიური რწმენა, ტრადიციული სოციალური ყოფის განსაკუთრებული ფორმა, ადგილობრივი მოსახლეობის მითორელიგიური მსოფლმხედველობა და თემის წევრებს შორის გვაროვნული ურთიერთობები დაედო საფუძვლად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზეპირსიტყვიერებას. საბედნიეროდ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხალხური კულტურით დაინტერესებული არაერთი უცხოელი თუ ქართველი მოღვაწე აკვირდებოდა და იწერდა ქართველ მთიელთა წეს-ჩვეულებებსა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ის მასალა, რაც შეიკრიბა და რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, თავისი მაღალი მხატვრული, ისტორიული თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობით, წარმოადგენს ქართული სულიერი კულტურის ფასადაუდებელ საგანძურს, რომელიც განსაკუთრებულ პატივისცემას, პოპულარიზაციასა და მზრუნველობას საჭიროებს. სწორედ მშობლიური ხევის წარსულით, ტრადიციებითა და ზეპირსიტყვიერების სიყვარულით არის შთაგონებული გურამ ქერაშვილის წიგნი „ხევი და მოხევეები“.

„ხევი და მოხევეები“ მრავალჟანრული ნაშრომია. მასში დაწვრილებით არის აღწერილი ხევის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება, ტერიტორია და საზღვრები, გზები და ბილიკები, „სამანსამძღვრის“ ხელშეუხებლობის ტრადიცია, ტოპონიმიკა, კლიმატი, ისტორიული წარსული, არქეოლოგიური მასალა, ქრისტიანული ტაძრები, საბრძოლო კოშკები და საცხოვრებელი ციხე-დარბაზები, ისტორიული წყაროები და დოკუმენტები, მათ შორის გერგეტის სულთა მატიანე – „მოსახსენებელი სულთა“. გ. ქერაშვილის ნაშრომში შესაბამისი ფოლკლორული მასალის მოხმობით შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი მოხევეთა ტრადიციული ყოფის თითქმის ყველა სფერო: ჯვარ-ხატთა თაყვანისცემა, გვარების ისტორია და გვაროვნული ურთიერთობები, ამანათობის ინსტიტუტი, სტუმარმასპინძლობა, მტრობა და სისხლის აღების წეს-ჩვეულება, შერიგება, დამოყვრება, ურვადი და „გორმეტობა“, დაძმობის ფიცი, გარეშე მტრებთან ბრძოლა, დამოკიდებულება გაერთიანებული საქართველოსა და ქართლ-